



„თანაარსებობა“ - ეთნო-ნაციონალისტური ნარატივები საქართველოში

სოციალური მედიის მონიტორინგის ანგარიში

(დეკემბერი 2020 წ. - იანვარი 2021 წ.)

მედია მონიტორინგის ანგარიში მომზადდა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ (DRI), პროექტის "თანაარსებობა" - ეთნო-ნაციონალისტური ნარატივების შესწავლა საქართველოში ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია ნორვეგიის საელჩოს მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

1. წინსაბუთა

საქართველოში, ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, სოციალური მედია ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების მნიშვნელოვანი წყაროა. შესაბამისად, სოციალური ქსელები იქცა დეზინფორმაციისა და ონლაინ-მანიპულაციების გავრცელების ერთ-ერთ ძირითად სივრცედ. დაკვირვებამ აჩვენა, სოციალური მედია წარმოადგენს ექსტრემისტული და ულტრანაციონალისტური ძალების სამოქმედო იარაღს და საზოგადოების პოლარიზაციას ემსახურება. გლობალურმა დისკუსიამ მნიშვნელოვანი სამოქალაქო და პოლიტიკური პროცესების გარშემო ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა და შესაბამისად ულტრანაციონალური, ექსტრემისტული ჯგუფები აქტიურად აწარმოებენ კონსოლიდირებულ, დისკრედიტაციულ და მანიპულაციურ ონლაინ კამპანიებს.

საქართველოში ულტრანაციონალისტური და ქსენოფობიური ონლაინ ნარატივები განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა სექტემბრიდან აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის განახლებული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე. ოფიციალურად დაფიქსირებული ნეიტრალური პოზიციის მიუხედავად, სოციალურ მედია კონტექსტში მიმდინარე სომხური, რუსული და აზერბაიჯანულენოვანი დეზინფორმაციული კამპანიის მნიშვნელოვანი სამიზნე სწორედ საქართველო აღმოჩნდა. ონლაინ მედია პლატფორმებზე შემამოთებელ ტენდენციად იქცა პროვოკაციული, ყალბი ამბების გავრცელება, რომელიც მიზნად ისახავდა ქსენოფობიური განწყობებისა და ეთნიკური ნიშნით შუღლის გაღვივებას.

2. მეთოდოლოგიური ჩარჩო

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი გეგმავს, მედიამონიტორინგის ფარგლებში, რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, შეისწავლოს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე მიმდინარე ონლაინ მედია კამპანიის ეთნონაციონალისტური, ქსენოფობიური და დეზინფორმაციული ნარატივები. კვლევის ანგარიშში ასახული მონაცემები კლასიფიცირდება თემატურად და გააერთიანებს სოციალურ მედიაში ყარაბაღის კონფლიქტის გარშემო ძირითადი ნარატივების, პირველწყაროებისა და ტენდენციების შესახებ არსებულ ვიზუალურ და საინფორმაციო მასალას. მედიამონიტორინგის ფარგლებში ულტრანაციონალისტური ნარატივებისა და ყალბი ამბების ხარისხობრივი იდენტიფიცირების მიზნით ფეისბუქის ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle-ს გამოვიყენებთ.

საქართველო დასახლებულია ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანული უმცირესობებით. შესაბამისად, სოციალურ მედიაში გავრცელებული ნებისმიერი ქსენოფობიური და დეზინფორმაციული ნარატივი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საზოგადოებრივ განწყობებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებული კონტენტ ანალიზის მეთოდზე დაყრდნობით, გაანალიზდება ულტრანაციონალისტური ნარატივების შინაარსი და მთიანი ყარაბაღის გარშემო არსებული დისკუსია სოციალურ მედიაში. გარდა ამისა, აქცენტი გაკეთდება სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების მიერ, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გარშემო გავრცელებული ამბების ძირითადი ტენდენციების გამოკვეთაზე. მონიტორინგის ფარგლებში, თემატიკიდან გამომდინარე, კვლევის დიზაინად შერჩეულ იქნება დისკურს ანალიზი.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის განახლებას 2020 წლის სექტემბრიდან ქვემო ქართლში არაერთი

ონლაინ პლატფორმის გააქტიურება მოჰყვა. სხვადასხვა ფეისბუქ გვერდები და ტელეგრამ არხები დღემდე აქტიურად აშუქებენ სომხურ, რუსულ თუ აზერბაიჯანულ ენებზე კონფლიქტის გარშემო მიმდინარე მოვლენებს. სამოქალაქო აქტივისტების, ბლოგერებისა და მედია ინფლუენსერების ონლაინ პლატფორმები კი გადაიქცა ერთგვარ საინფორმაციო სივრცედ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გარშემო. სოციალურ მედიაში მიმდინარე დეზინფორმაციული და ულტრანაციონალისტური კამპანიის ფრონტზე, მნიშვნელოვანი სამიზნე აღმოჩნდა საქართველოც. შესაბამისად, ყალბი ამბების ნაკადში აქტიურად ხდებოდა საქართველოს წარმოჩენა ხან სომხეთის, ხან კი აზერბაიჯანის მხარდამჭერად.

მონიტორინგის ფარგლებში საკვლევ ობიექტებად შეირჩა ის სომხური, აზერბაიჯანული, რუსული და ქართულენოვანი ონლაინ პლატფორმები, ფეისბუქ-გვერდები და ტელეგრამ არხები, რომელთა ყურადღების ცენტრში ყველაზე აქტიურად და ტენდენციურად მოექცა ერთის მხრივ, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გარშემო არსებული თემები და მეორეს მხრივ, შესამჩნევი იყო დეზინფორმაციული ამბებისა თუ ეთნონაციონალისტური ნარატივების გავრცელების ფაქტები.

მონიტორინგის ფარგლებში საკვლევ ობიექტად შერჩეული ონლაინ მედია გამოცემები:

1.	bavnews.am	https://bavnews.am/
2.	Oxu.az	https://oxu.az/
3.	Baku.ws	https://baku.ws/
4.	Armenpress.am	https://armenpress.am/rus/
5.	7or.am	https://www.7or.am/
6.	Media.az	https://median.az/
7.	Kavkazplus.ge	http://ge.kavkazplus.com/index.php
8.	Golosarmenii	https://golosarmenii.am/
9.	Alt-info	https://alt-info.com/
10.	ნიუს-ფრონტი	https://ge.news-front.info/

მონიტორინგის ფარგლებში საკვლევ ობიექტად შერჩეული Telegram არხები:

1.	Mediaport	https://t.me/mediaport2020
----	-----------	---

2.	Karabah_news	https://t.me/karabah_news
3.	Kolorit 18+	https://t.me/kolorit_18
4.	Armenian Military Portal	https://t.me/military_arm
5.	Artsakh Now / Karabakh now	https://t.me/Arcakhnow

მონიტორინგის ფარგლებში საკვლევ ობიექტებად შერჩეული ფეისბუქ გვერდები:

1.	Hayastan	https://www.facebook.com/Hayastans/
2.	BORCALI.PRESS. DIGEST	https://www.facebook.com/groups/zumrud.orkan
3.	Armenian Military Portal	https://www.facebook.com/Armenian-Military-Portal-354622311710777
4.	MƏN GÜRCÜSTANLIYAM	https://www.facebook.com/groups/1015249085537901
5.	Gündəlik - Gürcüstan	https://www.facebook.com/gundelikgurcistan
6.	თურქეთი ოკუპანტია	https://www.facebook.com/StopTurkishOccupation/
7.	ფარნავაზიანი	https://www.facebook.com/FarnavaZiani
8.	BORÇALI	https://www.facebook.com/groups/elvar010/?ref=share
9.	Themis	https://www.facebook.com/ThemisEstonia/
10.	In Armenia	https://www.facebook.com/inarmenya/

3. სოციალურ მედიაში გავრცელებული ნარატივები

დეზინფორმაცია: აზერბაიჯანის შეირაღებულმა ძალებმა, მარნეულში ცეცხლი გაუხსნეს სომხურ სატვირთო [მანქანებს](#).

სიმართლე: სომხურენოვანმა ტელეგრამ არხმა [Mediaportma](#) გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2021 წლის 10 იანვარს, 20:00 საათზე მარნეულში, სომხურ სატვირთო მანქანებს ცეცხლსასროლი იარაღით ცეცხლი გაუხსნეს აზერბაიჯანის შეირაღებული ძალების წარმომადგენლებმა. რეალურად, აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და წარმოადგენს **დეზინფორმაციას**, რომელსაც 11 იანვარს გამოეხმაურა [„სამცხე-ჯავახეთის საინფორმაციო საიტი“](#) და გამოაქვეყნა სტატია, სადაც აღნიშნულია, რომ მათი წარმომადგენლები დაუკავშირდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომლის წარმომადგენლებმაც არ დაადასტურეს მარნეულში სომხური სატვირთო მანქანებისთვის აზერბაიჯანული შეირაღებული ძალების მიერ ცეცხლის გახსნის ფაქტი. სტატიაში ხაზგასმულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არანაირი შეტყობინება არ მიუღია. ასევე, „სამცხე-ჯავახეთის საინფორმაციო პორტალმა“ გადაამოწმა აღნიშნული დეზინფორმაციისთვის თანდართული ფოტო და მიაკვლია, რომ ის ჯერ კიდევ **2018 წელს არის გადაღებული**. დეზინფორმაცია გამოქვეყნდა ასევე სომხურ და რუსულენოვან პორტალებზე [„სომხეთის ხმა“](#). ონლაინ ინტერაქციამ აღნიშნულ დეზინფორმაციაზე გადააჭარბა 20 000 ადამიანს.

ფოტო მასალა:

akhaltskha.net



МВД информацию о нападении на армянский грузовик в Марнеули не подтверждает



ვიდეომანიპულაცია: აზერბაიჯანი საქართველოს მთლიან დაპყრობაზე ოცნებობს.

სიმართლე: საქართველოში ულტრამემარჯვენე განწყობებით ცნობილმა, ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ლიდერმა ნიკოლოზ მჟავანაძემ საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა [ვიდეო](#), შემდეგი ტექსტით: „აზერბაიჯანი საქართველოს მთლიან დაპყრობაზე ოცნებობს და სოც ქსელში სკანდალურ კლიპს აქვეყნებს. რუსებს რომ გაეკეთებინათ მსგავსი კლიპი, მაშინ ხომ დაიჯერებდა ზოგიერთი SOCAR-ის აგენტი“. რეალურად კი, აღნიშნული ფეისბუქ პოსტი წარმოადგენს ვიდეომანიპულაციას და კომპიუტერული თამაშის Age of Civilizations II-დან ამოღებული კადრებით არის დამონტაჟებული. აღნიშნული ონლაინ თამაში კი მოიცავს სიმულაციურ სამხედრო სტრატეგიებს, რომლის ფარგლებშიც აზერბაიჯანი ახდენს მეზობელი ქვეყნების ოკუპაციას. [ორიგინალი ვიდეო](#) სტრატეგიული ონლაინ თამაშის შესახებ ეკუთვნის

იუთუბერ [Eren Ceylan-ს](#), რომელმაც ის ჯერ კიდევ 2019 წელს გამოაქვეყნა. შესაბამისად, ნიკოლოზ მჟავანაძის მიერ გავრცელებულ ვიდეოში გრაფიკულად დამონტაჟებული კადრები, სადაც ასახულია, თუ როგორ იპყრობს აზერბაიჯანი საქართველოს, წარმოადგენს ვიდეომანიპულაციას და ორიგინალი ვიდეო თამაშიდან განსხვავებით დამატებული აქვს წარწერა „გამარჯვებული აჯერბაიჯანი“-“Kazanan AZERBAYCAN”, რაც დამონტაჟებულია და ხელს უწყობს ქსენოფობიური, ანტიაზერბაიჯანული განწყობების გაღვივებას საქართველოში.

ონლაინ ინტერაქციამ აღნიშნულ ვიდეომანიპულაციაზე ჯამში 295 ადამიანი მოიცვა.

ფოტო მასალა:



რეზონსული ვიდეო სერია და დისკუსია სოციალურ ქსელებში: „აზერბაიჯანელი სამხედროები მხილებულნი არიან სომეხი ჯარისკაცებისადმი სასტიკ მოპყრობაში.“

ტელგერამ არხებმა [karabah news](#) და [Kolorit 18+](#) დეკემბრში აქტიურად გაავრცელეს ვიდეოები, სადაც მათი განცხადებით, ასახული იყო ყარაბაღში, აზერბაიჯანული სამხედრო დანაყოფების მიერ სომეხი ჯარისკაცების წამებისა და სიტყვიერი დამცირების ფაქტები. განსაკუთრებით რეზონანსული აღმოჩნდა ვიდეო, სადაც ჩანს, თუ როგორ კვეთენ თავს სამხედრო პირები მამაკაცს. ვიდეოში აღნიშნულია, რომ ფაქტი მოხდა ყარაბაღში, აზერბაიჯანელი მეომრების მიერ, რომლებიც ასე სასტიკად სომეხ მამაკაცს გაუსწორდნენ. კადრებმა სოციალურ ქსელებში დიდი დისკუსია გამოიწვია. ფაქტი დაგმო, როგორც აზერბაიჯანულმა, ასევე, სომხურმა მხარემ. რეზონანსულ ვიდეო სერიას მალე გამოეხმაურა აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურაც და გაავრცელა განცხადება, რომ მიმდინარეობს გამოძიება აღნიშნული ვიდეოების ავთენტურობის დადგენის მიზნით. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სასტიკი ქმედებების დამტკიცების შემთხვევაში დამნაშავე აზერბაიჯანელი სამხედროების სისხლისამართლებრივი დევნაც დაიწყება: „გენერალური პროკურატურა ამჟამად იძიებს ჩვენი ჯარისკაცების სავარაუდო არაადამიანურ და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ცრუ ინფორმაცია გავრცელდა, ჩვენ მაინც გვაქვს ეჭვი, რომ ზოგიერთი [ვიდეო] მათგანი ასახავს რეალობას“, - განუცხადა გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა გუნაი სალიმზადემ აზერბაიჯანულ [BBC News-ს](#).

აღნიშნულ რეზონანსულ ვიდეო სერიას [გამოცხმაურა](#) ცნობილი აზერბაიჯანელი ჟურნალისტი და სამოქალაქო აქტივისტი ხადიჯა ისმაილი. მან მოუწოდა აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს და გენერალურ პროკურატურას, დაუყინებლივ დაწყობთ გამოძიება და შედეგები საზოგადოებისთვის ეცნობებინათ - „ყველა თავზეხელაღებულმა, და მათ, ვინც იღებს და შემდგომ ავრცელებს ვიდეოს, ასევე, ყველამ, ვინც იწონებს ამ ვიდეოებს სოციალურ ქსელებში, პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე. თავდაცვის სამინისტრო, გენერალური პროკურატურა - აცნობეთ საზოგადოებას გამოძიების შედეგები“.

ეთონაციონალისტური და საზარელი ომი უწოდა ყარაბაღის კონფლიქტს კიდევ ერთმა ცნობილმა აზერბაიჯანელმა, დევნილობაში მყოფმა ჟურნალისტმა და აქტივისტმა აფგან მუხთარლიმ. მან საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა [პოსტი](#), სადაც დაგმო ვიდეოებში ასახული სისასტიკე და მიმართა თანამემულეებს შეეჩერებინათ ეს სასტიკი ომი.

„ჩვენ წილად გვერგო ერთ-ერთი ყველაზე საზარელი ომი. შეურაცხყოფა, სისასტიკე და მკვლელობა ეთნიკურ ომებში ჩვეულებრივი რამ ხდება. ეთნიკური ზიზღი უკან წევს ყველაფერ ადამიანურს. ჩვენ უნდა შევაჩეროთ ომი, რეალურად - სამამულო. არმიაში ძირეული რეფორმები უნდა გატარდეს. არა მხოლოდ შეიარაღების მიმართულებით, არამედ აუცილებელია ჯარისკაცებისთვის ფსიქოლოგიური მომზადების კურსის გავლა. თუკი ეს არ მოხდება, თავის მოჭრის კიდევ ბევრ სცენას ვნახავთ. არ დავივიწყოთ, რომ კონფლიქტი ჯერ კიდევ არ ამოწურულა და ყარაბაღის მესამე ომი გარდაუვალია“ - აღნიშნულია მის ფეისბუქ მიმართვაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ათობით ვიდეო ჩანაწერი შეისწავლა, საერთაშორისო ორგანიზაციამ [Human Rights Watch](#)-მა და აღნიშნა, რომ ვიდეოებზე, რომლებიც სოციალური ქსელებით გავრცელდა, ნათლად ჩანს აზერბაიჯანული მხარის მიერ სომეხი სამხედრო ტყვეების დამცირების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები. ხშირ შემთხვევაში, აზერბაიჯანელი ჯარისკაცები არ მალავენ სახეს და არ უფროთხიან პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლი, სამხედრო კონფლიქტების დროს სამხედრო ტყვეთა მიმართ ძალადობას, მათ დაშინებას და შეურაცხყოფას კრძალავს.



Khadija Ismayil

8 December 2020 · 🌐

Bütün baş, qulaq kəsənlər də, onların videosunu çəkib bəh-bəhlə paylaşanlar da, sosial şəbəkədə onlara əhsən deyənlər də qanun qarşısında cavab verməlidir. Mühəribə hər şeyə haqq qazandırmır. Azərbaycan Respublikası Müdafiə Nazirliyi, Azərbaycan Respublikasının Baş Prokurorluğu, ictimaiyyətə araşdırmaların nəticələri barədə məlumat verin.



Afqan Muxtarli

8 December 2020 · 🌐

Bəxtimizə müharibələrin ən iyrənci düşüb. Etnik müharibələrdə xüsusi amansızlıq, qəddarlıq, qətilər adı hala çevrilir. Etnik nifrət bütün insanı hissələri arxa plana keçirir. Hər döyüşdən, hər ataşkəsdən sonra bizi düşündürən ən ümdə sual qarşı tərəfdən necə nəfərin ölməsi olur. Azad edilən ərazilərdən çox düşmənin canlı itkisinə sevinirik. Qarşı tərəfdə eynən bizim kimi düşünür. Etnik müharibədə 1 nömrəli məqsəd daha çox düşməni öldürməkdir. Müharibəni sözün bütün mənalığında Vətən müharibəsinə çevirməliyik. Orduda ciddi islahat aparılmalıdır. Yalnız silahlanmada, təlimlərdə yox. Əsgər güclü psixoloji hazırlıq kursu keçməlidir. Bu olmasa çoxlu baş kəsmə səhnələri görəcəyik. Unutmayaq ki, münəfiqə bitməyib və 3 cü Qarabağ savaşı qacılmazdır.